

1  
1945



ნახ. შ. ბერიტაშვილისა

დიდო სამშობლოვ, მიიღე  
გამარჯვებულთა სალაში!  
ბერლინის თავზე ფრიალებს  
ჩვენი უძლევი ალაში!

შენ იზეიმე, შენი ცა  
არასდროს დაიბინდება,  
დიდება შენს მზეს, შენს დროშას,  
ბელადის სახელს დიდება!

ჭიანჭველას ფრთებგამოსმულს,  
არწივობა მოესურვა;  
აფარფატა ფეხბუსუსა  
და დაიწყო სისხლში ცურვა.

ალაღბედზე მის მხარეზე,  
ზურგის ქარი ჰქროდა თანა  
და ფრთასველი ბრუყვი მწერი  
ერთ ნაპირზე გაიტანა.

— „ოჰო! — სთქვა მან, — ოკეანე  
ერთის მოსმით გამოვცურე,  
ტორი დავკარ სანაპიროს  
და კლდეს სისხლი გამოვწურე!

ჩანს — ძალა მაქვს, ჩანს ცოტაა  
არწივობის რომ ვარ მდომი, —  
არჩევანზე რაკი მიდგა —  
ის სჯობია — ვიყო ლომი!“

და ის ლომის პოზით დადგა,  
გაიჭიმა, გაიბერა,  
აქეთ ღრენით, იქით ყეფით  
ყურთასმენა შეაჯერა.

ბევრი შხამი დაანთხია  
და დასუნთქა ბევრის კერა, —  
ერთის სიტყვით, გარეშემო  
ნაცრის ქექვით აამტერა.

მაგრამ წესი, რაც ბუნებას  
დაუდგია ოდითგანა, —  
ჭიანჭველის ნებისამებრ  
შეიცვლოდა ოდნავ განა?

ფიფქის ფრთა და სანთლის ქანგი,  
სიამაყის ცოფით ნათრობს —  
ლომობას და არწივობას  
გაუწივდა განა პატრონს?

ბუმბერაზთა ნამუხლარზე  
გადახტომა რომ ეწადა;  
გასართხმელად ძირს დაეცა —  
რამდენჯერაც სკუპი სცადა

და იმ მწერსაც ის ხედა წილად,  
რაც ხდებოდა ხოლმე ძველად:  
ჭიანჭველად გაჩენილი —  
გაისრისა ჭიანჭველად!

მანვილაკი



— გადავყრი ამათ სანაგვე ყუთში, რომ ამიერიდან ჩემს ფურცლებს აღარ ანაგვიანებდნენ!

### გამარჯვების დღესასწაულზე

იზეიმე გამარჯვება ბედნიერო, მზიანო,  
შენ სამშობლოვ, საყვარელო, გულმტკიცე და სვიანო!  
წინაბართა ვაჟკაცობის ბრძოლით გამომსახველი,  
შენ ახალი დევგმირობის მწვერვალზე ახველი!  
შენ იხსენი ხალხთა მოდგმა — ველურთაგან ნათელი  
და შუქდასშულ, ტანჯულ ქვეყნებს მიუტანე ნათელი  
იდიდოს და იდეგრძელს შენი წმინდა სახელი, —  
შენს წინაშე გართხმულია მტერი ავის მზრახველი!

ანდა სიტყვა ბელადისა — ჩირაღდნად რომ ბრწყინავდა,  
სიხარული ზღადაქცეული გულში დაკვირავდა.  
აღდგენის და აყვავების დილა უკვე გათენდა,  
მზის ამოსვლამ უკუნეთი სამუდამოდ დათენთა!  
აწ შენს თვალში ცრემლის ნახვას ველარავინ ფიქრობდეს,  
დიდ კერაში ანთებულ ცეცხლს დუშმანი ვერ გიქრობდეს  
და ხნულეში მობიზინე ჯეჯილეების შრიალი —  
ველარავინ დაგიჩრდილოს ქვემეხების გრიალით!  
იზეიმე! დღეგრძელ იყოს შენი წმინდა სახელი,  
შენის ხელით გაცამტვერდა მტერი ავის მზრახველი!

ჩვენო დროშავ! გმირის მკლავმა მზის დისკომდე აგწია,  
ვინც გაქელვას გიპირებდა — იგი ფერფლად აქცია,  
ვინც მონობის ბორკილებით მოგვეპარა შორიდან,  
ვინც ოჯახის დასანგრევად კარს დაგვიკრა ტორი და  
ჩვენის სისხლით მიწის გულის განედლება ისურვა —  
მას მიეზლა ჩვენს სარბევად განმზადილი ის ურვა!  
იშრიალე ჩვენო დროშავ, გამარჯვებით მღელვარევი!  
ბრძენი სარდლის შუქი გმობავს — მისი სხივით ელვარებ!  
დე, იდიდოს სამშობლოს და შენი წმინდა სახელი  
შენს წინაშე აღიგავა მტერი ავის მზრახველი!

ს. ვაშალიშვილი



— ხელობა არაფერი გქონია, ფიზიკურ სამუშაოზეც უარს ამბობ, მაშ კლუბის გამგედ გაგაგზავნი, წარმოდგენები დადგიხლმე.

სისხამია. სამუშაოდ მიიჩქარის ახალგაზრდა მღებავი. კუთხეში ატუზული რუხფარაჯიანი ლობემჭრალასავით გაპყოფს თავს და წასდუღუნებს მღებავს: „ჭაჭაა... კახური... ცეცხლივითა...“ ტუჩებს გაილოკავს მღებავი, ირიბად ჩაიღიმებს და გვერდს ჩაუვლის, აძუტ-გული ფარაჯიანი ნაპარევი ნაბიჯით აედევნება: „მალაზე მოგიყვანს... ცეცხლს შეგმატებს... შრომას ბარაქა ექნება!“ ოდნავ ახველებს მღებავი, ნაბიჯს აყოვნებს... „სიყმეს გეფიცები კახურია!.. ერთი შეხე რალა!..“ ფარაჯას გადაიწევეს, თეთრ ბოთლს გამოაჩენს... შეხედავს მღებავი და ყელი აჭქავდება—„დაასხი!..“ იტყვის მოწყვეტით.

ღერეფანში შეუძღვება ფარაჯიანი. ჭიქას ამოაპარებს ჯიბიდან, ნაკლულად დაასხამს და თუ ვინიცობაა მუშტარმა ჩიჩინი დაუწყოდ-დაასხი, აკლიაო, პასუხი აქვს:“ ვა, შე დალოცვილო, იცი რა გულისხმეთქვა ამის ჩამოტანა!.. მე შაინც უფრო პირიანი ვარ, აბა იმ შუკაში ნახე ჩოფურა რამდენს აკლებს!..“ მაგრამ არაფერს ამბობს მღებავი, თვალები უციმციმებს, ამომშრალებულ ჭიქას აწვდის.

—კიდევ?—აცდუნებს ფარაჯიანი.  
—დაასხი!..  
ის ჭიქაც ამოიწურა.  
—კიდევ?.. უარი არ იქნება!.. არაყი კენტი უნდა... წყვილი ნავსია... სამი სახარება ახსენე, სჯულის მადლი ნუ გაგიწყობა!..  
მღებავი მესამესაც გადაპკრავს, ღმერთმა აგაშენოს დუღუნებს და მიიჩქარის, ფარაჯიანი საყელოში ჩაავლებს ხელს:

—ვაა, სად მიხვალ, ოხერ, ფულს არ იხდი?!  
მღებავი გაიკვირვებს:  
—რაო, ფულსა მთხოვ?! ბიჭოს, ნამუსი არა გქონია! აფერუმ შენს ვაჟკაცობას!.. დამპატიე, არ მომეშვი, ახლა ფული გინდა?!  
—ვა დაგპატიეო?! ბრიყვი მნახე!.. ფული მეთქი!..—შენჯღრევს ფარაჯიანი.

მღებავი აყვირდება:  
—მილიციონერ!.. მილიციონერ!..  
ფარაჯიანი ცივ-ციხელად გაუშვებს ხელს, მოიძუძვება, საყელოში ჩაიძვრენს კისერს და დუღუნებს:  
—ვა, რა მოსვლია ამ მუდრევს, ამ შუა ქალაქში ყაჩაღები ხომ არ დასხმია?! გასწი გაიარე, რალა!  
მღებავი მიძუნძულებს...  
ფარაჯიანი სწყევლის ნავსიან დილას.

განსხილებები

თბილვაზარობის დახურული მალაზია (პლენ-ხანოვის, 95) № 27-ის დირექცია აცხადებს, რომ ორი კვირის რემონტის შემდეგ, მალაზიაში ყოველდღიურად სწარმოებს თავპირის მტვრევა, არეულობა, გაუგებრობა, სალაროსთან პურის ურიგოდ გაცემა და სხვ.

მალაზია მომხმარებლებზე არ აწარმოებს გასული კვარტალის სარეცხის საპნის (რომელიც რამდენიმე თვეა საწყობშია) არაყის და ზოგიერთ სხვა საქონლის გაცემას. აკრძალულია არსებული ტელეფონის (21—42) საშუალებით შეკითხვა, თუ მალაზიაში როდის რა გაიცემა.

მომხმარებლებზე ცნობების გაცემა არ სწარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

საჩივრის წიგნის მოკითხვა სასტიკად აკრძალულია. დიკამტორი ჟიფიანი

კინო-თეატრ „კომპაჰვირალის“ დირექცია კინოს მოყვარულ მოქალაქეთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ დარბაზში კინო-სურათის ჩვენების დროს მოქალაქეებმა იატაკიდან ფეხები ნახევარი მეტრით მაინც მაღლა უნდა იქონიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეებზე ვირობების თავდასხმისას დირექცია პასუხს არ აგებს.

დირექცია

ნათლიდას სანყაო

- საიდან მობრძანდებით, ნათლიდედ?
- კლუბიდან, შვილო, კრებას ვესწრებოდი.
- რის შესახებ იყო კრება?
- მოსავლის განაწილების ნუსხები წიკითხეს.
- კარგია. შრომადღეზე რა გერგო, ნათლიდედ?
- რომ ვერაფერი გავიგე, შვილო!.. პური ამდენი გრამიო, სიმინდი იმდენი გრამიო, ვაშლიც გრამიო, ღვინოც გრამიო, ლობიოცა და კომოსტოცა, სულ გრამიო და გრამიო. აბა, გრამებისა რა გამეგება, შვილო!.. ადგენ და სთქვან მამაპაპეულიდან როგორც გცოდნია, ეს ჩანახიო, ეს კოდიო, ეს ურემიო..
- რა გენაღვლება, ნათლიდედ, გრამებით იანგარიშონ და ურემები მოგაყენონ კარებზე.. ის ბელელი ამოვიგონ..
- ეჰ, შვილო, გრამი რო არც ურემზე დაეტევა და არც ბელელში ჩაეტევა, სწორედ ის მაწუხებს!..
- მაგრამ იმ გრამებით ბელელი რომ აუესეს ნათლიდედას, ახალი საწყაო აღარ დაუწუნია.



# უცხოური ნაკვეთი



1

ოქსფორდის უნივერსიტეტის ორმა სტუდენტმა არაღმრთეების დროს სამოგზაუროდ გასწია. მალე ფული შემოვიდა და აღარ იცოდნენ ან რა ეჭამათ, ან ღამე სად გაეთათათ. ბევრი იფიქრეს, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. მერე გაბედულად შევიდნენ სასტუმროში, ერთი მშვენიერი ოთახი დაიჭირეს და კარგი სადილიც შეუკვეთეს. მერე დილას, ნასაუბრეს, სასტუმროს პატრონმა ანგარიშის ქაღალდი გაუგზავნა. სტუდენტები დაჯდნენ და ბევრი იმტვრიეს თავი მდგომარეობიდან გამოსავლის საძებრად. მერე ერთმა წამოიძახა: „მე ვიპოვე გამოსავალი. ჩქარა ხარი და რეკე“. ხარი დარეკეს და სასტუმროს პატრონი შემოვიდა. სტუდენტმა მიმართა: ჩვენ ფული არა გვაქვს თან, მაგრამ ამან არ შეგაწყუბოთ, სულერთია არაფერს დაქარგავთ. ჩვენ იქნებივართ განლაგართ და აღმოვაჩინეთ, რომ ყოველი ასი წლის შემდეგ ყველაფერი თავის ძველ მდგომარეობას უბრუნდება. ასე რომ ასი წლის შემდეგ დღის დღეს თქვენ ისევ სასტუმროს პატრონი იქნებით, ჩვენ მოვალთ და დღევანდელ ვალს გადავირდითო.

— ბატონებო, — დამშვიდებული ტონით მიუგო სასტუმროს პატრონმა, — მე ეჭვიც არ მეპარება თქვენი აღმოჩენის სიმართლეში და იქნებ არც კი დამიჯეროთ, რომ მეც ბევრს ვემუშაობდი ამ საკითხებზე და საბედნიეროდ მეც აღმოვაჩინე, რომ ყოველი ასი წლის შემდეგ ყველაფერი ისევ მეროდება. წუხელ კი აი რა მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინე კიდევ: სწორედ ასი წლის წინ თქვენ აქ მობრძანდით, ისადილეთ, ღამე გაათიეთ და ისე წახვედით არაფერი გადაგიხდიათ. მე, რა თქმა უნდა, დიდად ნასიამოვნები ვიქნები, თუ კი ამით გაგიწევთ სამსახურს, რომ დღევანდელი და-

ნახარჯი ასი წლის ვადით გადროვოთ. მაგრამ ისე არ გაგიშვებთ სახლიდან, თუ წარსული საუკუნის ვალი არ გადაიხადეთ, რომელიც სწორედ დღევანდელ თანხას უდრის.

სტუდენტები მიხვდნენ, რომ საკუთარივე დანა ჩაიცეს გულში. რალას იხამდნენ, უნივერსიტეტში მისწერეს თავიანთი გასაკირი და გამოსახსნელი ფული გამოითხოვეს.

2

ერთმა კარის მასხარამ მეფეს შესჩივლა, რომ ვიღაც დიდ ლორდს გაეგუბრე და ახლა მოკვლას მიპირებსო. „დამშვიდდი. თუ მართლა გაბედა—დაწმუნებულნი იყავი, რომ ხუთი წუთის შემდეგ ჩამოხრბობილი იქნებაო“—დამშვიდა მეფემ. „რომ ხუთი წუთით ადრე ჩამოხრბობდეთ, ვიდრე მომკვლავდეს, მაშინ უფრო დამშვიდებული ვიქნებიო“.—უთხრა მასხარამ.

3

ერთი ექიმი გამოიძახეს მინდორში, სადაც ვიღაც ახალგაზრდა კაცმა მსუბუქი ჭრილობა მიიღო დუფლის დროს. ქირურგმა გასინჯა ჭრილობა და მსახურს უბრძანა: ელვის სისწრაფით გაიქვი და ჩემი მალამო მოიტანე, თორემ ვეღარ მოვასწრებთო. გაფითრებული მალამო პაციენტმა ექიმს მიმართა: „როგორ, ბატონო ექიმო, ნუ თუ ასეთი საშიში ჭრილობაა?“ „დიან, მეტად საშიშია, რადგან თუ ადრე არ მოიტანა მალამო, თავისით შეხორცდებაო“.

4

ვიღაც სოფელმა მჭედელმა კაცი მოჰკლა, რისთვისაც ჩამოხრბობა მიუსაჯეს. მდიდარი გლეხები მოსამართლესთან მივიდნენ და თხოვეს მეტად საჭირო კაცია, სახნისს, თოსსა თუ ცულს ყველაფერს ეს გვიკეთებს და ნუ წავაგრობთვეთო. „მერე და მართლ-

მსაჯულებას რაღა პასუხი გაცევ?“—ჭკითხა მსაჯულმა. „ჩვენს სოფელში ორი დურგალია—მიუგო ერთმა გლეხმა—ჩვენთვის ერთიც კმარა, მოდი და ერთი მათგანი ჩამოაბრჩეთო“.

5

ერთმა ალქიმიკოსმა მეფეს თავისი წიგნი მიართვა, რომელშიაც იგი ამტკიცებდა ოქროს დამზადება შეიძლებაო და თან დამზადების სხვადასხვა ხერხები იყო ჩამოთვლილი. ალქიმიკოსი მეფისაგან, რა თქმა უნდა, უდიდეს ხელშეწყობას მიიღო. რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც მიიღო ამანათი. გახსნა და შიგ ტომარა ნახა, რომელზედაც ეწერა: რაკი ასეთი მშვენიერი ხერხი გცოდინათ ოქროს დამზადებისა, ახლა ტომარადა გკლებიათ, რომ თქვენი ოქროები შიგ ჩაჰყაროთო.

6

ნიუტონს თურმე კატები უყვარდა. ჰყავდა ერთი დიდი კატა და მეორე პატარა კნუტი. ერთხელ მეგობარი ესტუმრა და ნახა, რომ კარებში ორი ხერხელი იყო გასტყრილი—დიდი და პატარა. ხერხელები იმდენად შესამჩნევი იყო, რომ მეგობარი განცვიფრდა და ნიუტონს ჰკითხა:

- ერთი მითხარი, ხერხელები რატომ აქვს შენს კარებს?
- კატებისათვის.—მხიარულად მიუგო ნიუტონმა.
- მაგრამ რა საჭირო იყო ორი ხერხელი, ერთი არ კმარა?
- აი, კუკის კოლოფი! როგორ უნდა გაძვრეს ამოდენა კატა პატარა ხერხელში—დაცინვით გადმოხედა ნიუტონმა.
- მართალი ხარ, მაგრამ პატარა კნუტი ხომ გაძვრება დიდ ხერხელში?
- ხა, ხა, ხა,—გაეცინა ნიუტონს,—ეს არც კი მითქვარება.

## მარა ბმენი

# რ მ გ მ რ ვ რ ე დ ა ქ ტ მ რ მ გ დ ი ს ა ს მ უ ლ მ

დაურიღებოდ მოგვიდე ხელა სასოფლო-სამეურნეო გაზეთის დროებით რედაქტორებს. სწორედ ისე, როგორც უბრალო მოკვდავი, არამეზღვარული მოპიდებდა ხელს ხომალდის მართვას. მაგრამ გაკირვებული ვეჯავი და ჯამაგირი სწორედ სულზე მომისწრებდა. რედაქტორი შეებულებაში მიდიოდა, მე დავთანხმდი მის მიერ შემოთავაზებულ პირობებს და მისი ადგილი დავიჭირე.

იმის გრძობა, რომ კვლავ ვემუშაობ, ისეთ სიამოვნებას მგვრიდა, რომ მთელ კვირას თავაუღებლად ვიმუშავებ. ნომერი გადავეცი დასაბუქვად და მოუთმენლად ველოდი დღის დასასრულს—მინდოდა გამეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემი ნაშრომი მკითხველზე. სადამო ხანს, როცა რედაქციიდან მივდიოდი, მოაჯირთან მდგარი ბიჭები და მოზრდილები აქეთ-იქით დაცვივდნენ, გზა და მითმეს და მე გავიგონე როგორ სთქვა ერთმა მათგანმა: „ის არის!“ ბუნებრივია, ძალიან მესიამოვნა.

დილით, როცა რედაქციაში მივდიოდი, მაყურებელთა ისეთივე გროვა დავინახე მოაჯირის ახლოს. გარდა ამისა, ხალხი წყვილ-წყვილად და თითოეულად იღვა რიგზე და მოპირდაპირე ქვაფენილზე, ყურადღებით მათვალთვლებდა. ბრბოდი უკან დახია და გზის მოსაცემად გაიყო ჩემს წინ, ერთმა მაყურებელმა კი საქმიან ხმამაღლა წარმოსთქვა: „შენზედეთ, როგორი თვალები აქვს!“ ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვერ ვამჩნევდი საერთო ყურადღებას, მაგრამ ჩუმად კი ნასიამოვნები ვიყავი და გადავწყვიტე კიდევ მიმეწერა დღიდან ჩემისათვის ამის შესახებ.

დაბალ პარმალზე ავედი და როდესაც კარებს მივუახლოვდი, მხიარული ხმები და სიცილის გუგუნე მომესმა. კარები შევადე და თვალი მოვკარი ორ ახალგაზრდა კაცს, ტანსაცმელის მიხედვით ფერმერებს, რომლებიც გაფითრდნენ და პირები დააღეს ჩემს გამოჩენაზე. ისინი კისრის ტიხით გადატნენ სარკმელში და მინები ჩაღვწეს, მე განცვიფრებული დავჩი.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდა ვიღაც დარბაისელი მოხუცი, გრძელი, გაშლილი წვერისა და კეთილი, თუმცა საქმიან მკაცრი გამოხედვების მქონე. სკამი შევაჯავზე. ეტყობოდა, რაღაცით იყო შეწყუბებული. ქული მოხიდა და იატაკზე დასდო, შემდეგ ჯიბიდან ამოიღო წითელი აბრეშულის ცხვირსახოცი და ჩვენი გაზეთის უკანასკნელი ნომერი.

გაზეთი მუხლებზე გაშალა და ცხვირსახოციით სათვალეების წმენდა დაიწყო, თანაც მკითხა:

- მაშ, ახალი რედაქტორი თქვენა ხართ?
- დიად-მეთქი.—გუბაუხე.
- ოდესმე ყოფილხართ სასოფლო-სამეურნეო გაზეთის რედაქტორად?
- არა,—ეს ჩემი პირველი ცდაა.
- მეც აგრე ვფიქრობდი. სასოფლო-სამეურნეო საქმე თუ გქონიათ ოდესმე?
- არა,—რამდენადაც მასხვს, არა მქონია.
- რატომაც წინასწარ გვგრძობდით მაგას,—სთქვა დარბაისელმა კაცმა, სათვალეები გაიკეთა თვალზე და საქმიან მკაცრად გადმოხედა სათვალეებს უემოდან. გაზეთი უფრო მოხერხებულად მოკეცა.—მინდა წავიკითხოთ ის სტრიქონები, რომლებმაც ასეთი წინადაგრძობა შეთავაზონეს. აი, სწორედ ეს მოწინავე. მომისმინეთ და მითხარით, ეს თქვენი დაწერილია?
- „ხულის“\*) მოკრეფა ხელით არ არის საჭირო, ამით ის ფუჭდება.
- უმიჯობებისა გაგზავნით პატარა ბიჭი, რათა ავიდეს ხეზე და დაარხიოს“.
- აბა, რას ფიქრობთ ამაზე? ვგონებ, ეს სწორედ თქვენი დაწერილია?
- რას ფიქრობ? ფიქრობ, ურიგო არაფერია. ფიქრობ, ამას აზრი არ

\*) ხული—მცენარეა.

აკლია. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ ჩვენს რაიონში ხულის მრავალი მილიონი ბუშელი\*\*) ეკარგება იმის გამო, რომ მას მკვანეს ჰკრეფენ, მაგრამ ბიჭი რომ გაეგზავნათ ხის დასარხვედა...

— ბებიათქვენი დაარხეთო! ხულს ხე არ ისხამს!

— მაშ, აგრე? არ ისხამს? მერე, ვინ ამბობს, ხე ისხამს? ეს უნდა გადატანით აზრით გაიგოთ, მხოლოდ და მხოლოდ გადატანით. ვინც კი ცოტა რამ იცის საქმისა, ყველა მიხვდება, რომ მე მინდოდა მეთქვა „დაარხიოს ბუჩქი“.

აქ დარბაისელი მოხუცი წამოხტა ადგილიდან, გაზეთი წვერილ-წვერილ ნაკრებად აქცია, ფეხებით გასთელა, ჯიბით გასტეხა რამდენიმე ნივთი, სთქვა, რომ მე სოფლის მეურნეობის საქმე ძროხაზე უკეთ არ ვიცი და გავარდა რედაქციიდან, თანაც კარები მაგრად გაიჯახუნა და საერთოდ მოიქცა ისე, რომ მე მომეჩვენა, რაღაცის უკმაყოფილო იყო. მაგრამ რადგან არ ვიცოდი საქმის ვითარება, ვერაფერი ვუშველე.

ამის შემდეგ რედაქციაში შემოვარდა მაღალი, მიცვალებულის მსგავსი სუბიექტი. მეჩხერი, აბურძენელი თმები მხრებამდე სცემდა, მისი სახე ერთი კვირის ჯაგარს დაეჯარა. შემეჯარდა და ზღუბრულზე უეცრად გაიჩინა, ტუჩებზე თითი დაიდო. მთელი ტანით წინ გადმოხრბილი, იგი თითქოს რაღასაც აყურადებდა.

ჩამიხუმცი არსად ისმობდა. მაგრამ იგი მინც აყურადებდა. არავითარი ხმა. მაშინ მან გადაატრიალა გასაღები კარის საკეტში, ფეხის წვერებზე, ფრთხილი ნაბიჯებით მომიახლოვდა, შორიხალხს გაჩერდა და დიდხანს ჩამყურებდა სახეში უცხოველესი ინტერესით. შემდეგ ჯიბიდან ამოიღო ჩემი გაზეთის ოთხად გაკეცილი ნომერი და სთქვა:

— აი, ეს თქვენ დასწერეთ? წამიკითხეთ ხმამაღლა, სწრაფად შემისუბუქეთ ტანჯვა. არაქათი მელევა.

მე წავიკითხე ქვემოთმოყვანილი სტრიქონები და იმის მიხედვით, როგორც წულებოდა სიტყვები ჩემს ბაგეებს, ტანჯულს მდგომარეობა უმსუბუქდებოდა. ვხედავდი, როგორ სწორდებოდა მის სახეზე სედეიანი ნაოჭები, ჰკრებოდა მძვინთარე გამომეტყველება და ბოლოს მისი ნაკვთები სიმშვიდითა და სიწყნარით განათდა, როგორც ნათდება ხლმე დაღვრემილი მიდამო მთვარის შუქით.

„გუანო\*\*\*“—ძვირფასი ფრინველია, მაგრამ მისი მომრავლება დიდ ზრუნვას მოითხოვს. მისი შემოყვანა არ არის საჭირო ივლისზე ადრე და სექტემბერზე გვიან. ზამთარში საჭიროა მისი თბილად შენახვა, რათა შეეძლოს ბარტყების გამოჩეკა“.

„ეტყობა, წელს მარცვლულთა გვიანი მოსავალი იქნება. ამიტომ ფერმერებს ურჩევნიათ დაიწყოთ სიმინდის ღეროების გადარგვა და უგრებელის ნამცხვარის თესვა ივლისიდან და არა აგვისტოდან“.

„მომგონის შეხასხებ. ეს ხელი წარმოადგენს ახალი ინგლისის მცხოვრებთა საყვარელ საქმელს. კინკრიაზე უფრო მეტად მათ მოხწონთ გოგრა ღვეწელის გულის ამოსავსებად. ხმარობენ უოლოს მაგიერ საქონლის გახსუქებად, რადგან იგი უფრო მარგებელია და ამავე დროს ხარისხით უოლოს არ ჩამოუვარდობა. გოგრა აბელსინების ოჯახის ერთადერთი საქმელი ნაირსახეობაა, რომელიც იზრდება ჩრდილოეთში, თუ არ ჩავთვლით ცერცვისა და ნესვის ორიოდ ჯიშს. მაგრამ დეკორატიული მცენარის სახით გოგრის დარგვა სახლის წინ უარყოფილია, რადგან ახლა ყველასგან აღიარებულია, რომ იგი მცირე ჩრდილს იძლევა“.

„ახლა, როდესაც ახლოვდება სიცხეების დრო და მამალი ბატები ყრიან ქვირით...“

ადლეგებული მსმენელი მომვარდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:


\*) ბუშელი—წონის ზომა (ამერიკაში).  
 \*\*\*) გუანო—ფრინველის სკორა.

ნახ. ღონისა

ზოგიერთი ქსოვილი ნაღვ ხუნდება.



1. წვიმანდე



2. წვიმის შემდეგ



მასწავლებელი — აბუთიძე! მითხარი როდისა გაშლის კრეფის დრო? მოწაფე — როცა მეზღვე ბაღში არაა და ძალიან დამალულია.



მასწავლებელი — ფარცხალაძე! ნერონის სურათქვეშ სწერია ციფრები 54-68, რას ნიშნავს იგი? მოწაფე — აჰ! ნერონის ტელეფონის ნომერია, მასწავლებელო.

სამეურნეო გაზეთი

კმარა, კმარა, მეყოფა. ახლა კი ვიცი, გონზე ვყოფილვარ: თქვენც ისევე წაიკითხეთ, როგორც მე, სიტყვა სიტყვით. დღეს დილით კი, ბატონო, როდესაც პირველად დავინახე თქვენი გაზეთი, ჩემს თავს ვუთხარი: „წინაღ ეს არასოდეს მჯეროდა, თუმცა მეგობრებს თვალი ეყარათ ჩემზე, მაგრამ ახლა კი ვიცი: ჭკუიდან შევშლილვარ მეთქი!“ ამ სიტყვებისთანავე ველური ხმით შევძახე, ისე, რომ ზრ მიღზე გაიგონეს, და გავიქეცი ვისიმე მოსაკლავად. სულ ერთია, რადგან გიჟი ვარ, ადრე თუ გვიან ასე უნდა მოხდეს, ამიტომ ბარემ ამით დავიწყებ-მეთქი. გადავიკითხე თქვენი წერილის ერთი აბზაცი, რათა ნამდვილად მერწმუნა ჩემი გიჟობა, შემდეგ გადავწვი საკუთარი სახლი და გავიქეცი. გზაზე რამდენიმე კაცი დავახსიჩქრე, ერთი კი ხეზე ავავადე, რათა იქ მეგულეობდეს, თუ დამპირდა. მაგრამ როდესაც რედაქციის ახლოს გამოვივარე, გადავწყვიტე მაინც შემომეველო და კიდევ ერთხელ შემემოწმებინა თავი. ახლა კი შევამოწმე და ეს პირდაპირი იღბალა იმ კაცისთვის, რომელიც ხეზე ზის. უეჭველად მოვკლავდი, როცა შინიკენ მოვბრუნდებოდი. მშვიდობით, ბატონო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. თქვენ მიმხსენით მძიმე ტვირთი. თუ ჩემმა გონებამ აიტანა თქვენი სასოფლო-სამეურნეო წერილები, მას უკვე აღარაფერი ავნებს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. რამოდენიმე შემაშფოთა იმ დასახიჩქრებმა და სახლების გადაწვამ, რომლითაც ერთობოდა ეს კაცი, მით უმეტეს, რომ თავს მის საქმეში გარეულად გვრძობდა. მაგრამ ამაზე დიდხანს აღარ მიფიქრია-ოთახში შემოვიდა რედაქტორი (ჩემთვის გავიფიქრე: „წასულიყავი ეგვიპტეში, როგორც გირჩევდი, კიდევ მექნებოდა შესატყობლობა მერყენებინა ჩემი უნარი. მაგრამ არ მოიხურვე და დაბრუნდი. მართალია გითხრა, მეც კი მოველოდი რაღაც ამის მსგავსს.“) რედაქტორს სევდიანი, დაღვრემილი და შეწუხებული სახე ჰქონდა. იგი დიდხანს ათვალთვრებდა იმ რბევის სურათს, რომელიც მოხუცმა სკანდალისტმა და ახალგაზრდა ფერმერებმა მოაწყვეს. შემდეგ სთქვა: — სამწუხაროა, ძლიერ სამწუხაროა. დამტრეულია წებოს ბოთლი, სარკმლის ეჭვი მინა, საფურცლები და ორი სასანთლე. მაგრამ ეს არაფერი. დაიღუბა გაზეთის რეპუტაცია, და, ვშიშობ, სამუდამოდ. მართალია ჩვენს გაზეთზე ასეთი მოთხოვნილება არასოდეს ყოფილა, ასეთი რაოდენობით იგი არასოდეს გასადებულა და ასეთი წარმატება არასოდეს ჰქონია, მაგრამ ვის ესამოვსება შეშლილის სახელი და საკუთარი ჭკუის სისუსტის გამო გაპიღვრება? ჩემი მეგობარო, ბატონიანი კაცის სიტყვას გაძღვეთ, ჭურჩა საყვარე ხალხით. ხალხი ღებუნდაც კი ზის და ელოდება, იქნებ ცალი თვალთ მანაც შეგედოს, და სულ იმტომ, რომ შეშლილად გთვლის. აქვთ კიდევ ამის უფლება მას შემდეგ, რაც თქვენი წერილები წაიკითხეს. ეს წერილები ჟურნალისტიკის სირცხვილია. საიდან მოგივიდათ თავში აზრად, რომ სასოფლო-სამეურნეო გაზეთის რედაქტორობა შეგიძლიანთ? როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობის ანბანაც კი არ იცით. თქვენ ვერ გაგიჩინებთ, მხოლოდ ფარცხალაძის თქვენს პრობლემებს ბუმბული სცვივათ; რჩევას იძლევი, მოაშინაურონ ქრცვინები, რადგან ამ ცხოველებს მხიარული ხასიათი აქვთ და ვირთხების ჭერა ეხერხებათ! სწერთ, რომ ხამანწკები წყნარად არიან, როცა მუსიკა უკრავს, მაგრამ ეს შენიშვნა ზედმეტია, სრულიად ზედმეტა, ხამანწკები მრულამ წყნარად არიან. იმათ ვერაფერი გამოიყვანს წონასწორობიდან. ხამანწკებს სრულიად არაფერი ესმით მუსიკისა. ო, დალაზვროს ღმერთმა! თქვენი ცხოვრების მიზნად რომ დაგესახათ უფაცობის სრულყოფა, დღევანდელზე უკეთ ვერ გამოიჩინდით თავს. არასოდეს არა მინახავს-რა ამისთანა. მარტო ერთ თქვენ განცხადებას, რომ ცხენის წაბლი სწრაფად იპყრობს ბაზარს, როგორც გასასაღებელი საგანი, შეუძლიან სამუდამოდ დაღუბოს გაზეთი.

— მე მოვიხივებ, რომ თქვენ დაუფრებლად წახვიდეთ რედაქციიდან. აღარ მინდა შევხულება-სულ ერთია, მაინც ვერ ვისარგებლებ, ვიდრე თქვენ იქნებით ჩემს ადგილას. სულ იმის შიშით ვიცანცახებ, თუ რას ურჩევთ მკითხველს გაზეთის შემდეგ ნომერში. თვალები მიხნელდება, როგორც კი ვიგონებ, რას სწერდით ხამანწკების მარჩხობზე სათაურით „დეკორატიული მეზღვეობა.“ მე მოვიხივებ, რომ თქვენ დაუფრებლად წახვიდეთ. ჩემი შევხულება გათავდა. რატომ მაშინვე არ მითხარით, რომ სოფლის მეურნეობისა არაფერი იცოდით? — რატომ არაფერი გითხარით თქვენ, ცერცვის ჭოტო, კომბოსტოს ხვიტო, გოგრის შვილო? — პირველად მესმის ამგვარი უაზრობა. აი, რას გეტყვით: თოთხმეტი წელიწადია რედაქტორად ვმუშაობ და პირველად მესმის, რომ კაცმა უნდა იცოდეს რამ, რათა გაზეთს ურედაქტოროს. ნამდვილო ხულო ვინ სწერს თეატრალურ რეცენზიებს გულდამშერ გაზეთებში? ყოფილი მიჩქმეები და სწავლადამთავრებელი ავთორიტეტები, რომლებსაც მხახიობის თამაში ისევე ესმით, როგორც მე სოფლის მეურნეობა. ვინ სწერს წიგნებზე თავის აზრს? ხალხი, რომელსაც თვითონ არ დაუწერია არც ერთი წიგნი. ვინ სწერს დარბაისულ მოწინავეებს ფინანსური საკითხების გარშემო? მაწანწალები, რომელთაც გიბეში ერთი ფარაც კი არ უჭყავის. ვინ სწერს ინტელექტუალურ წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებზე? ვაჟბატონები, რომლებიც ვერ არჩევენ ვიგვამს გამპუმიხაგან, რომელთაც თავის სიცოცხლეში არ დასჭირებიათ გაქცეოდნენ ტომაგავსს, ან ამოეძროთ ისრები თავისი ნათესავების სხეულებიდან, რათა შესვენების დროს დაეწიონ ცეცხლი. ვინ სწერს მგონობიარე მოწოდებებს სიფხიზლის შესახებ და ყველაზე მეტს ყვირის ლოთობის მანებლობაზე? აღამიანები, რომლებიც მხოლოდ საფლავში გამოფხიზლდებიან. ვინ რედაქტორობს სასოფლო-სამეურნეო გაზეთს? განა ისეთი ძირნაყოფა, როგორც თქვენა ხართ? არა, უფრო ხშირად ისეთი აღამიანები, რომლებიც დამარცხდნენ პოეზიაში, ყვირთელკანიან ბულვარულ რომანებში, სენსაციურ მელოდრამებში, ქრონიკაში და რომლებიც შეჩერდნენ სოფლის მეურნეობაში, რადგან ამაში დინახეს დროებითი ნავსაყუდარი თავშესაფარისკენ მიმავალ გზაზე. თქვენ რაღაცას მერიჩინებით საგაზეთო საქმის შესახებ? ეს ჩემთვის ცნობილია ალფადან ომაჰამდე\*) და მე გუბუნებით თქვენ, რომ რაც უფრო ნაკლები იცის კაცმა, მით უფრო მეტს ხმაურობს და მეტ ხელფასს მოითხოვს. ხედავს ღმერთი, რომ უფიცო და თავხედი ვყოფილიყავი და არა თავდაბალი განათლებული კაცი, უეჭველად მოვიხვეჭდი სახელს ამ ცივ, უგრძობელ ქვეყანაში. მე მივდივარ, სერ. თქვენ ისე მეპყრობით, მიხარიათ კიდევ, რომ მივდივარ. მაგრამ მე შევასრულე ჩემი ვალი. რამდენადაც შემეძლო, მე შევასრულე ყველაფერი, რაც საჭირო იყო ჩენი ხელშეკრულების მიხედვით. მე ვთქვი, რომ ვაქცევ თქვენს გაზეთს საინტერესოდ საზოგადოების ყველა ფენისათვის-და შევასრულე. მე ვთქვი, რომ გავზრდი ტირაჟს ოცი ათას ეკუმპლარამდე, და, გავზრდი კიდევ; ორი კვირა რომ დაგეცლიათ. მე მოგეცით უფრო მეტი მუშაობისა, რომელიც ოდესმე შეიძლება შეყვდეს სასოფლო-სამეურნეო გაზეთს, — მათ შორის არ არის არც ერთი ფერმერი, მათ შორის არ მოიპოვება არც ერთი კაცი, რომელსაც შეეძლოს განახსავდეს ნესვის ზრქი ატმის ლერწმისაგან, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად სჭირდებოდეს ეს. ჩვენს განხეთქილებაში წაგებული რჩებით თქვენ და არა მე. მშვიდობით, საზამთროს ხეც! და მე წავიდი.

სთარგმნა ინგლისურიდან გივი გაჩიჩილაძემ

\*) მთხრობელს მხედველობაში აქვს გამოთქა „ალფადან ომაჰამდე“. ალფა და ომაჰა — ამავე დროს ქალაქებია შეერთებულ შტატებში.




1. არტულ „ფუშუკის“ ასანთის სახელოსნოს გამგეს ტიმოთეს ფული ქუმოფულანგა.



2. კვლის დაფარვის მიზნით გადასწყვეტა სახელოსნოს დოკუმენტების დაწვა.



3. ბევრი იწვალა ტიმოთემ, მაგრამ ასანთი ვერ გაკრა. ამ დროს ბოროტმოქმედებაც მიუსწრეს.



4. მხოლოდ პაპიროსის მოკიდება მინდოდა, მეტი არაფერი—თავს იმართლებდა ტიმოთე. მაგრამ, საცოდავმა, ის კი არ იცოდა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ასანთის ცული ხარისხის გამო აძლევდნენ პასუხისგებაში.

# რეკლამა

## გუძღვნიტ ჩვენს რეკენზენტებს

დრამატურგ სერაპიონ სკვინჩას პიესა „თარხან ხაზარი“ აგებულია ისტორიულ ლაბირინტებზე და ასახავს ბაყათარ ოსის და თარხან ხაზარის ცხოვრებას. ავტორს შესანიშნავად დაუძღვია აღებული თემა და აუფლებია მათი ცხოვრების მაშინდელი სიტუაციების ერთგვარ აბდიკაციურ აღწავლას.

რაშია აქ ავტორის დამსახურება?

ავტორის დამსახურება პირველყოფისა, მიზნად დასახული მიზანდასახულობის ისეთ უტყუარ პრეზუმპციასა, რომელიც უთუოდ არის გადატეხილი სათანადო ინტერპრეტაციის პრიზმაში და უთუოდ იძლევა, შეიძლება ითქვას, ჩვენ ასე ვიტყვოდით—საესებით ორიგინალური დისკრიმინირების ალქმის პოტენციას. ალქმის პოტენციაში ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ერთგვარ ირაციონალურ, ასე ვსთქვათ, ვერბალურ საშუალებას, რომელიც შეუმცდარად განსაზღვრავს დრამატული ნაწარმოების კრეატივს მთელი თავისი, ჩვენ ასე ვიტყვოდით, პათოსითა და აპრიორული სიდიდით.

ყველაფერი ეს უშუალო პატრიოტული ექსტაზითა მოცემული სარეცენზიო სპექტაკლში, რომელიც დამდგმელ—რეჟისორს აუყვანია პირობითობის, ისე ვსთქვათ გროტესკულ, პოზიტიულ, შეიძლება ითქვას, რეალისტური გაგების სიმაღლემდე. სწორედ ამასია რეჟისორის დამსახურება.

ავიღოთ მაგალითად იბსენი. ამ უკანასკნელთან პიესა „თარხან ხაზარის“ ავტორს სერაპიონ სკვინჩას თუ გნებავთ, აქვს ბევრი რამ საერთო. ორთავე ამ დრამატურგის პიესებში გამოყენებულია დიალოგების ფორმა, დიალოგებს აკავშირებს რემარკები, ხოლო

მოქმედ პირობად მათ ორთავეს თითქმის ყოველთვის გამოჰყავთ ქალები და კაცები.

ყველა ამის შემდეგ ისმის საკითხი: რა სოციალურ გარემოში უნდებოდა შემოქმედებითი წვა გენიალურ კომედიოგრაფს არისტოფანეს? და ბოლოს რა არის კომედია, როგორც ასეთი?

ვინაიდან დრამატურგ სერაპიონ სკვინჩას პიესა დრამაა და არა კომედია, ამიტომ ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ ვუპასუხოთ ამ კითხვას, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ კი მოლიერი, როგორც ასეთი, თავის „ტარტიფოში“ და „გაზნაურებულ მდაბიოში“ ასახავდა მის თანამედროვე სიტუაციურ მდგომარეობას, დრამატურგ სკვინჩას შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით სრულიად საწინააღმდეგო ექსცესებს— იგი პირიქით ასახავს თარხან ხაზარის ყოფითს აღწავლას. თუ კი შექსპირმა თავისი „რომეო და ჯულიეტა“ ააგო რომელიღაც იტალიურ ნოველაზე, სამაგიეროდ სკვინჩამ თავისი პიესა ააგო ისტორიულ ქარგაზე. სწორედ ამასია მისი დამსახურება.

ამიტომ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვითარდება თუ არა სარეცენზიო სპექტაკლი ერთგვარის ფსიქო-ირრაციონალ—პატრიოტული განვითარების ვითარებაში? უთუოდ ვითარდება. არის თუ არა პიესა ადგიური ვერბალური ყნოსვის ექსტაზით? უთუოდ არის.

თარხან ხაზარის ქალიშვილის როლს შესანიშნავად ანსხეულებდა მსახიობი მარიანა ლამაზისეული. მისი უზადო თარხანხაზარული მიხვრა-მოხვრა, მიმიკა, ქესტიკულაცია, დაბალი ცხვირი და ტუჩების დამახასიათებელი ცმატუნი—ყველაფერი ეს მსახიობს გაა-

ბრებული აქვს მთელი თავისი თარხანხაზარული აღწავლით.

ძალიან გაგვახარა გულნარა მანანელმა, რომელიც ამ პიესაში ანსხეულებს მოცეკვავის როლს. ახალგაზრდა ქალი დაჯილდოებულია გრაციის მოქნილობით, გულმკერდის სიშიშვლითა და ელასტურობით. იგი შესანიშნავად ჰფლობს საკუთარ ყელ-კისერს, მომნიბლავად იღიმება, თითქმის სურს მაყურებლებს გადაეხვიოსო, რამაც ძალიან გაგვახარა.

კარგი იყო თვით თარხანხაზარის როლში მსახიობი ბარნაბ ზორბელი. ეტყობა მსახიობი კარგად იცნობს გიორის ყოფის თვითეულ დეტალს და წარმოგვისახავს მას.

სუსტი იყო მსახიობი ერმალოზ ბოტკოველი, მას სრულიად არ აქვს გააზრებული როლის თარხანხაზარული სპეციფიკა.

კულმინაციური ამეტყველებით ჩაატარა თავისი როლი ნიკიერმა და ლამაზმა მსახიობმა ქალმა ტატიანა ბალაგელმა, მხოლოდ უნდა მიუთითოთ შემდეგზე: მას რელიეფურად არ აქვს დამუშავებული შეყვარებულთან შეხვედრის სცენა. ეს სცენა მოითხოვს უშუალო ტემპერამენტსა და გაქანებას. ბალაგელი კი გაუბედვარია. მისი კონცნა სრულიად არ ისმის ქანდარაზე და პარტერის უკანასკნელ რიგებში. ეს კი იწვევს ერთგვარ ხანმოკლე ემოციებს.

დანარჩენი მსახიობები ხელს უწყობდნენ ანსამბლსა და რეჟისორს სპექტაკლის მალე დამთავრებაში, რამაც აგრეთვე გაგვახარა.

გ. ლი



ლაკვირვებულის შეკითხვა

— მეგობარო, ეგ ნავთი ლუდიანი ხომ არ არის, რომ ასე ქაფდება?  
— არა, ხალტურიანია.



ციხე-სიმაგრის გაღალაღა

— გეთყვება, მაგ თითხ ცოტა პურიც დამიწონე.



გარეკუბასთან

ვაგონიდან მშვიდობით გადმოსული


სილაგაზის ნაგალი

ზოგიერთი არტელები უზარისხო პარ-ფიუმერიას ამზადებენ.

სხვის თვალში გენს აძრნავს...



— მოქალაქევ, ქულზე ბუზი დაგჯდომია!



პირველი საჩუქარი.



პირველი შედეგი.



— მტკვარს დაუყლია, ცუდათა ხაქმე.  
— რაო? —  
— ჩვენი მონღოლი რუქს გამოვიყიდავს და უყული-  
ხას დაბრალებს.



— მტკვარს დაუყლია, ცუდათა ხაქმე.  
— რაო? —  
— ჩვენი მონღოლი რუქს გამოვიყიდავს და წყლის  
აღლებს მონაზივებს.

# შეხვედრის დღის...

ზამთარს სულს გაგრეცა და ამ ჩვეს ბატარა საქართველოში გახაზულს  
მოჩინა და მტკვარების კაცობითა და გულგულად ვეკვილებით.  
ჩიტუნები უკვე მუდგანდ თავათი პირდაპირი მოკლებების შესრულებას—  
ტიტყასა და სტყას. პირველ მასს მათ გახაზეს სახეებზედ კონცერტი. შეს-  
რულებულ იქნა კოტე ფოტეგრაფების მიერ დაწვენილებული რომანსი:

„მოდდ შექენ ერთს გავაწყობათ,  
რომ ზამთარი ცლვდ დადგებათ“

ეს რომანსი მიძღვნილია სათბო მასალათა ბიზნისების, აგრეთვე ცალკე  
კომპანიებისა და საბარათ სამართლებების მუშაკებისადმი. შემდეგ ფონდელ-  
ბის მიერ შესრულებულ იქნა ჩვენი ესტრადას მსაფრინებისადმი მიძღვნილი  
სიმღერა:

„იხედ ჩვენ და იხედ ჩვენ,  
სხვა გაოტურებუნი ვყავით“

მსმენელნი ტაშის გრიალო შეხედენ ამ სიმღერას, ხლლი ამ დროს გულ-  
ტრუნითა და ვაწყებების პარტიად გაიპარენ ესტრადაზედ გამოსვლად და მზა-  
დებულ ჩვენი მანათლები, თოპლესსაც მხად მჭირათ სრულად ახალი ნომ-  
რები:

„გან-ტყო-ტყო,  
გან-ტყო-ტყო“

და სულ უბაღუსი კბიროული (სულმთლად რიგინადული) ხაქტარად წი-  
მერი:

„ეუ უუჯი  
გოლბჩიკ მისი“

მეორე დღეს ცელამ შეამჩნია, რა მიზელი ბოლისი აწვენილებულია. ბა-  
ღებში, ზეგებებში, ქუჩებში, ფორტებში და ცელამ მტკვარების ფოთლები  
შესთაბა გამოყვების ტრესის საწარმოო გარეშის შესაბამისად და ტრესის შე-  
ნაბების ენერჯული მუშაობის შედეგად, ამასთანავე სასტიკად იქნენ გაფრთხი-  
ლებული ფოთლები, რათა არ ჩამოცილებდნენ შემოადგომამდე გამოყვების ტრესის  
მითაობის გარეშე. გამოყვენილებულ იქნა შემდეგი განცხადება:

განცხადების ტრესის აცხადებას, რომ მდგრადებმა  
უკვე იწყეს შიდალი, ქვე-ოქროსი ჩივება და ჰაერის  
გაფრთხება, ხეების ქვე ხილხინა დაღვინა ავება  
შესახებნაგა ჩივება.

გამოყვების ტრესის უფროსს, მადლობას უხადებს დასდეთების რაი-  
კატორების მუშაკის იმს გაბო, რომ ამ უკანასკნელთ მათგანი რეგულბული  
ნაგვი შორს არ მიქნინდა და მჭირადვე ახლო-მართო, რაც ხელს უწყობდა  
ნარკვევების ავება-გაფრთხების საქმეს.  
აღვანიწავია, რომ თბილისის ზოგიერთი ბაღების აღმშენებლებმა (მა-  
გალითად, ყოფილ აღმშენებელ ბაღის, სასაბარათო ქუჩაზე მდებარე ბაღის,  
კორეის სახელობის, გარეშის სახელობის და სხვ.) განახლებულს მოსილა აღნიშნეს  
შეგნებზედ განცხადებით:

მოკლდენი, სტინონების მოტრევილად გაღვინებით  
ბაღში მასკლებს თან მოიტანენ მადლობა მადობნი,  
ფულით ხაზამ ბიზნისში, ნაჯიშ და თითო პა-  
ტატარა ცოცხი—ბაღში ასეთი ვერ შეუდებთ.

საინტერესო იყო ინტერვიუ დასუფრავების რაიკატორების უფროსებთან.  
შეკითხვა — სა სტრეტიკა გარემოში მდებარე ტრესის ცხოვრება და მტკვარზე,  
გვეთუ თუ არა ობიექტებზე სათანადო რაოდენობის ნაგვი და სხვა არასაპირთა  
უსუფრავობა?

პასუხი — თანამად შეიძლება განცხადებოთ, რომ ვეცემ?

შეკითხვა — ფურცლები თუ არა გარემოში ნაგვი და გასუფრავითი ენ-  
გარეშით, თუ შენობების დასუფრავით ამას მინაგვილ განახლებამდე ამ ფოლი-  
ნებზე იმის დამარჯობამდე გარეშ?

პასუხი — ჩვენ არ გავგუროდებთ მისი შენობებზე. მაგრამ საწყობ-  
როდ თან-მეორედ საინტერესო სიტუაციების, ასე ვთქვათ, ჰიგენიური ფორ-  
მაციები მოითხოვენ რომ ნაგვი გაიკატინათ დასუფრავებზე, მაგრამ შევძელია  
დაგარწმუნოთ, რომ ეს არც ისე მარტივ მოსდება.

26 კომისრის ჩაითარს დასუფრავების კატორგის ღირებულებას განაცხად-  
დავანდ საერთოდ დასუფრავების, კატორგების ნაგვის სახიდ ტრასპორტის  
დრო-არ აქვს ნაგვის სახიდავ. ამიტომ წინადადება შემოიშვეს დასუფრავით ნაგვი  
ახალგებულ ადგილზე და ესთითითი ქარს ერთი მგვირგვინი დასუფრავით არ ამ  
ნაგვის, როგორც ასეთს, და გადარეგონებს უწყველად მტკვარზე.  
პასუხი — წინადადებას განსაკუთრებით დასუფრავითი რაიკატორების რაიკატორის  
წინამომადგენელი, რომელსაც დასუფრავით, რომ უფროდეს შემოიყვანა წინამოს  
შეფრთხა მთავარმუშაკის და მადლობა დასუფრავით ნაგვი რაიკატორის და ჩაბადის  
მტკვარის, როგორც უწყველად ჩაიტანს მის თავისი პირადი მასუფრავების  
ხელსეუ პირდაპირი კასისის ხაზში.  
უნიკარგაბლ დასუფრავა გამოვიყენებ შედეგით

— ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ზამთარში არ გვიჩინებდნენ სათანადო თბილი  
ასორტირებულ, ეს საყვედურები სრულყოფილია, თბილი განსაკუთრებულ ჩვენ გვიჩინებდა,  
მაგრამ ზამთარში რომ გავსაფრინებთ, შეუძლებელია უბრალო რიგები, პირდაპირთა  
ნაგვის-გაფრთხილებულ ორგანიზაციას გაცვათ და სხვა ასეთები. ამიტომ ჩვენ გავს-  
ნაგვი ჩვენი საწყობი განახლებულან დაკვირვებით და ვეცხადებთ, რათა

მოდებული ვეცხადებთ კარგი დასუფრავითი კალტურების,  
გვარჯიშ დასახლებული მოტმის, კარგი დასახლებუ-  
ლი შიდასახეობის, უფროდეს ჩამოსახლებული თბილი  
ქუჩები (ბლოკები), პავილიონების, თოპლესის  
ბაზაში და სხვ.

განახლებულ ზამთარო ტანსაცმულის გაცემა მრავალმართი არის გახარ-  
დებელი: არ იქნება გრძელი ცეცხები, არ შეგვეცხადებდნენ ნაგვის-მტკვარები და  
სხვა. სამაგიეროდ სახვედრული ასორტირების ზამთარში გაცივებით ასევე შეგ-  
ნუბნებენ მომზადებული საერთო მდგომარეობის,

თბილისის განახლებულან განცხადებებს განახლებულს მოსდესთან დაკვირვებ-  
ებით განვიხილავთ ასეთი განცხადება:

## კვირფასო მომხმარებლებო!

როგორც ვახდენ წლებს პარტიკულ დაფინანსებას, ჩვენი მზინალი  
საქმიანობა მთავარბუნებში მტკვარებზე სტრესობა და ვერ აღწევდა  
მომხმარებლებსაგან მათგან მოკრძალებული ხარისხით...  
ამიტომ ვირჩევთ კორფა მზინალის, კირანის, პამიდორის,  
მინდვარსა-სამბ-ბანახან-წამახან-სამხილის შესახებ და  
მინათით უწყველად საკომუნურებო ბარებს ნაღ ანგარაშე.

კითხვებზე, თუ რამ გამოიწვია მომხმარებლებისადმი ასეთი მოწოდების  
განხილვა-თბილისის განახლებულან განცხადებებზე განხილვა.  
— წინა შეწყობილი და საერთოდაც პარტიკული და ხოლო მიქნინდა თბილის-  
ში უწყველად ტრასპორტით დასუფრავითი მტკვარის რაგობით, რომელსაც  
არ სტრატეგიული მოგერი და ბუნებრივი... ახლა კი ჩვენ სრულად არ გვეცხადებ  
ასეთი რაგობი და გავსაფრინებდნენ ვერაშობებით იტრა სსკმებით. ახლა  
წინამომადგენელ ხალტურა, შუაგულით, საერთო განხილვის, ცელდ მომხმარებ-  
ლებს და დამამადებლებს გასაბოლი მოთხოვნებზე და სოცით რა და-  
გვიჩინებთ მომხმარებლებისათვის განა არ სურს ეს უკანასკნელი ყოველგვარი  
ბიზნისობების გარეშე ვეცხადებ საკომუნურებო ხაზებზე და იქ შეიძინოს  
სილილი და ბიზნისობა.

განახლებული წლებს წინამომადგენელ განცხადებას:  
— ხაზულთმ ცელდა მოქალაქე მოვიდოდნენ სილის თვის აუტილებლად ჩა-  
ცეცხილის გახიზნი წყალი, კოსტეზაბს იმართებ რიგები, არის შეგლა-შეგობა,  
აფორა-ბერი, ჩვენ იმდებელი გავხილვით სრულად ავტელი, ამ დაგვიტყვა ისეთი  
კოსტეზა, სილილი გათი რიგები იმართებულა, მდებრე ძალიან სასიხარულო  
აღმართდა ადგილზე, ამ დაგვიტყვა კოსტეზა ავტელი ჩვენი უკანასკნელი...  
შეუბნებია ანთაუტორი რიგი და შეგლა-შეგობა... ასევე გახიზნი რიგ  
შეიძელით ამ დაცემებზე, რომ რაგობინდა ნაკლები ვეცხადებ წყლის კოსტე, იმ-  
დავად ნაკლები იქნება რიგები.

შეკითხვა ადგილიდან: რას ბრტევი მოთხოვინო წყლის შესახებ?  
პასუხი—ბორჯომის წყალზე? მშ მიზელი რიგი განუგებობის თიღინდ ასა-  
ცილებლად და რიგების მოსაბის მიზნით, ჩვენ შევტანეთ ბორჯომის წყლის  
რეალობის საკმეში რაღული გაფრთხილებს. როგორც იცით, თბილისში რეა-  
ციური ადგილი, სადაც ბორჯომის წყალი თან-მეორედ იყიდება და ვაწყობთ,  
რათა უფრავება მოსდეს, სტინისა და ასეთი მიზელებად, თუ ეს მას სურს  
მიიღოს ერთი მთლილი ბორჯომის წყალი, მოტმინს თბი ცარიელი ბაღალი,  
ვიღოქრეთ ეს შეგვიჩინებ და წყალზე რიგებს, მაგრამ წინამომადგენელ ამ ვერ  
გვეწყობა. ბაღალი თრ-თბი ცარიელი ბაღალი ხელში დაგვს რიგი.

ახლა ვადაწყვეტოთ ვეცხადებ დასუფრავითი მოქალაქეს მოტმინო არა ცა-  
რილით, არამედ კონკრეტული დროით სილილი ობიექტის მოსდესთან მიხედვით.  
რათა ბოლოდ მოთხოვინო წყალს ნაღ ანგარაშე... მც უფროდეს, ამასაგან, რომ  
თბილისელები ახე ამ გადამწყვეტილებს შეუცხადებონ და ამიტომ ჩვენ დაცხად-  
დებით

## —მოტალბინო!

გირჩევთ სიხიან ამინდს ვაგრობების მზინა, მიიღებოთ  
შეუწყველად და მოტმინო ასეთი ქარსა და ნიავს პირადი  
მატალბინების ქვეშ

განახლებული მოიწვია და უნდა იცოდეთ, რომ წელს განახლებულ ცელად  
შესულების ხაზებზე, ჩვენ დროზე გვიქნას (და ეს უბნად ასევე იქნება), რომ ხაზ-  
ების შესუდე დაფინანსება შეუძლებელია და სულ ადვილად შეგაყვებელია, შემო-  
გების შეხედვით ხაზების მოცილებს.  
და ეს ჩვენ სასურველად მოგვიჩინა, რადგან, როგორც ხეივან უკვე აღუ-  
ნიშვნე ცელდა სათანადო ორგანიზაციები სათანადოდ მხად რიგის სათანადო  
სტინის შესახებ.



— ნუშეშენია შეგლო, ზუა კი არა, ბებოქალა!



— მამალი, მიქნე იხე.  
— ცოცხალ გაცივო, შეგლო იმდენი ფული არა მკაცს,  
რომ სათანადო ცუხს.



ქართული  
ხელნაწილი

### ჩემი ნათელი გიზანგროვი

### თითქმის იგავი

დაკების გეგმა, მოახერხა მასთან მისვლა და მოახსენა:

რა საჭიროა, რომ ცოცხლობს ადამიანი? საერთოდ რა აზრი აქვს ცხოვრებას?

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ანას ეკითხებოდა თავის თავს. სიცოცხლე ფუჭად მიაჩნდა, ქადაგებდა ცხოვრების ამოებებს, არსებობის უაზრობას, სიკვდილი შეველად მიაჩნდა, თვითმკვლელობა გმირობად.

ახალგაზრდობამ განვლო, შუახანი გადავიდა, ესხა საკმაოდ მოხუცია და მაინც იმასვე სტირის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კი ყველაფერზე დახარბებული იყო, უყვარდა გემრიელი საჭმელი და გაძღომა, ეშინოდა ავად არ გამხდარიყო და ცდილობდა რაც შეიძლება კომფორტით ეცხოვრა.

### საყვარელი რესპოვი

პატარა მაროს ახირებული ზნე აქვს: არ დაიძინებს, სანამ ზღაპარს არ მოისმენს. გარდა ამისა მოითხოვს, რომ ყოველთვის ახალი ვუამბო.

ყველაზე უფრო ერთი გარემოება მაშინებს: თუ ამბავი თავიდანვე არ მოეწონა, შემაჩერებს, — ეგ არ მინდა, სხვა რამ სთქვიო. მე გეტყვი შეაჯერებ, რომ ამბავი საინტერესოა! არავითარ შეკამათებს არ ითმენს, მორჩა და გათავდა: მზე ნულარ გაბედავს აღმოსავლეთიდან ამოსვლას!

აი ესხაც ჩაიფუთნა მარო საწოლში და მომთხოვა ვუამბო. მე დიდ გაჭირვებაში ვარ, რადგან ზღაპრების მარავი შემომეღია.

შეზობელ ოთახში რადიო ხმინობს. ვერდის „აიდას“ გადმოსცემენ.

— გინდა გაამბო რას მღერიან? — ვეკითხები.

ჩემთვის საბედნიეროდ, თანხმობა იწება. ვუამბობ „აიდას“ შინაარსს. ერთხანს გულდასმით მოისმენს. ხანდახან თვლები ელულება, მაგრამ ძილს ებრძვის და მაძილებს განვავრძო ამბავი.

ბოლოს ცხადად ვამჩნევ, რომ ძილი ერევა.

— ჯერ არ გათავდებო ოპერა? — ვეკითხება მარო.

— რადამესს ცოცხლად დამარხავენ, მასთან მიწისქვეშ მივა აიდა, იქ ორივენი მოკვდებიან და მაშინ ოპერაც გათავდება. — ვეუბნები მე.

ერთ წუთს კიდევ უსმენს, შემდეგ თვლებს ხუჭავს და ლულულდება:

— მამა, მე მეძინება და ჩასძახე მათ რადიოში, რომ მალე მოკვდნენ. — რადიო გამოვთიშე. პატარა დესპოტსაც მაშინვე ჩაეძინა.

თუმცა მოქანდაკე ლიზიპე ხელოვნებით თავის თანამედროვედ სჯობდა, მაინც აბუჩად ავლებული ჰყავდათ კოლეგებს, ვინაიდან ის მოკრძალებული იყო, შრომაში ატარებდა დღეებს და სხვასავით კარებს არ უტალახებდა დიდკაცებს. ლიზიპე ჩრდილში იყო, რადგან დიდკაცებში მფარველი არ ჰყავდა. სხვისი ბამბაც ჩხრიალებდა, ხოლო მისი კაკალიც კი არა.

ალბად მუდამ ასე იქნებოდა, მაგრამ ერთ დღეს ისეთი რამ მოხდა, რამაც სხვა მოქანდაკენი ააფორიაქა და აღაშფოთა კიდევ: მათ გაიგეს, რომ ლიზიპეს დიდი სარდლის ალექსანდრე მაკედონელის ქანდაკება გამოეძერწა, ხოლო ალექსანდრეს ენახა ხელოვნის ნამუშევარი, ფრიად მოსწონებოდა და ამასთანავე მადლობა და ქება შეეთვალა მისთვის.

ამ დღიდან კოლეგებმა ძაგება დაუწყეს ლიზიპეს და ყოველგვარად შეეცადნენ მისი ნამუშევრის მიჩქმალვას.

ლიზიპეს წარმატებით ყველაზე უფრო გამწარებული იყო ერთი უხეირო მოქანდაკე სახელად დიპოკრატე. მან გადასწყვიტა ლიზიპეს გაბიაბრუება. ის იმუქრებოდა:

— მე მივალწევ იმას, რომ ალექსანდრე სასაცილოდ აიგდებს მის ქანდაკებას. ვერ მოესწრება ლიზიპე, რომ წინ გამისწროს ცხოვრებაში!

დიპოკრატემ შეადგინა მაკედონელის ქან-


— დილო მეფეო! ძეგლი, რომელიც ვინმე ლიზიპემ გააკეთა, მე უღირსად მიმაჩნია. მე მას დაცინვად ვთვლი შენზე, ვინც ღმერთებს ეღრები. ნება მომეცი გამოეძერწო ისეთი ქანდაკება, როგორც ნამდვილად შეგფერის შენ.. მოისმინე და განიხილე ჩემი გეგმა. მე დარწმუნებული ვარ, მოგეწონება. მე შევქმნი ისეთ ძეგლს, რომელიც უკვდავყოფს და მარადი იქნება... მოგეხსენება, თრაკიაში არის მთა ათონი. ის მეტად მაღალი და განიერია. აი მისგან უნდა გამოვაქანდაკო შენი სახე და ტანი. იმ ქანდაკებას ფეხები ზღვაში ექნება, ერთ ხელში ის დაიჭერს ვაზას, საიდანაც მდინარე გადმოჩუხჩუხებს. აი ძეგლი შენთვის საკადრისი! ღიახ, მეფეო, მე მინდა უკვდავყო შენ!

მაკედონელმა თვალი მიაჩერა დიპოკრატეს და შემდეგ უთხრა:

— თავი დაანებე ათონის მთას. დარჩეს ის ისეთივე, როგორც აქამდე იყო. ჩემს უკვდავებისათვისაც ნუ ზრუნავ შენ. კავკასიამ, კასპიის ზღვამ და იბაუსმა, რომელიც მე გადავლახე, მკაფიოდ გამომსახეს და მომანიჭეს მე უკვდავება!

თუ რა გულნატკენი, იმედგაცრუებული, ლიზიპესადმი ზიზლით სავსე გაბრუნდა დიპოკრატე, ამას ყველა ადვილად წარმოიდგენს.

ნახ. დონისა




სასწრაფო დახმარება

ნახ. ვ. მაცაშვილმა



— შარშან, პირველ მაისს, ჩვენი ნაწილი, მოსკოვში, წითელ მოედანზე თავის საბრძოლო ძალას ათვალიერებდა.  
 — წელს პირველ მაისს კი, ჩვენმა ნაწილმა ბერლინში თავისი საბრძოლო ძალა აჩვენა!



მართა: გაიგე ქა?! ჩემი თანდო ბუღაპეჩი უფილა!  
თექლა: ბუღაპეჩი რა სათქმელია, ჩემი მიხო ბერლინიდან იწერება.

## ჩამოსაბმელები

„მრავალი გერმანელი ამჟობინებს თავი მოიკლას, ვიდრე განაგრძოს ბრძოლა. ჩვენ კეჟუხე უნდა მოვიყვანოთ ეს პოტენციალური თვითმკვლელები!“  
ასე სწერდნენ გერმანელი ფაშისტები, ბერლინზე ჩვენი შეტევის დაწყებამდე.

შარვლის ჩამოსაბმელების დამამზადებელ ფაბრიკის მეპატრონე იოჰან შმიდტი დიდხანს გავლენიან ფაშისტად ითვლებოდა გერმანიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. ამ ბოლო ხანებში შმიდტიც დარწმუნდა, რომ თავს შეეღობა უნდა და გაქცევის გეგმა მოიფიქრა. იგი სასწრაფოდ ალაგებდა ჩემოდანს და თავის ფაბრიკაში დამზადებულ „ჩამოსაბმელების“ ჩაღებასაც აპირებდა, როცა კარებზე მაგრად დააკაკუნეს.

შეშინებულმა შმიდტმა ჩემოდანი საწოლის ქვეშ შესწია და ისე, გაშეშებული ჩამოსაბმელებით ხელში დახვდა ოთახში შემოსულ პოლიციელს. პოლიციელმა თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა შმიდტი და მკვახედ ჩაილაპარაკა:

—მაშ ასე. ყველაფერი აშკარაა. რითი შეგიძლიათ დაასაბუთოთ თქვენი განზრახვა?

—საიდან იცნოსეს, რომ გაქცევას ვაპირებდი?—გაიფიქრა შმიდტმა და გადასწყვიტა გადაჭრილი უარი ეთქვა ყველაფერზე.

—ტყუილად გგონიათ, რომ მე... მე სრულებითაც არაფერს ვაპირებ,—დაიწყო მითრთოლვარე ხმით ფაბრიკანტმა, მაგრამ დაუბატიყვებელმა სტუმარმა ხელის გაქნევით შეაწყვეტინა სიტყვა.

—მოემზადეთ, მე თქვენ გონს უნდა მოგიყვანოთ თანახმად ბატონ პროპაგანდის მინისტრის ინსტრუქციისა.

და მან სხაპა-სხუპით, ყოველგვარი სასვენი ნიშნების გარეშე ჩაუბულბულა:

—ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის,—წინ, გერმანიისათვის, ფიურერმა იცის, რასაც აკეთებს...—თავის გაკვეთილის ჩამოჭიკიკების შემდეგ პოლიციელმა ხელიდან გამოჰგლიჯა შმიდტს შარვლის ჩამოსაბმელები:

—ამას მე საქმეს დაფურთავ, როგორც ნივთიერ დასამტკიცებელ საბუთს.

—ღვთის გულისათვის!—წაილულულა შმიდტმა,—დამიტოვეთ ეგ ჩამოსაბმელები, როგორც სახსოვარი ჩემი წარმოების მოსაგონებლად...

—სრულიად ზედმეტია,—საქმიანად შეაწყვეტინა პოლიციელმა,—ჩამოსაბმელები ამგვარი საქმისათვის არ გამოდგება,—თუ თავის ჩამოხრჩობა გინდათ, უნდა აიღოთ უბრალო თოკი...

—თავის ჩამოხრჩობა?—შეშინებით წამოიძახა შმიდტმა,—მაგრამ მე ხომ სულ სხვა რამ მქონდა მხედველობაში...

—ახ, სხვა რამ?—დაცინვით მიუგო პოლიციელმა,—მაშასადამე თქვენ აპირებთ თავი მოიკლათ რევოლვერით? არა, ეს ოინი არ გაგივთ, ჩვენ ჩამოგახრჩობთ უფრო ადრე.

—რისთვის?

—თანახმად ბატონ გებელსის ინსტრუქციისა, ის პირები, რომლებიც ჯიუტობას გამოიჩენენ თავის მოკვლის განზრახვაში, ჩამოხრჩობილი უნდა იქნენ,—გასაგებია?

—კი მაგრამ მე ხომ სრულებითაც არ განმიზრახავს თავის მოკვლა,—წამოიძახა თავზარდაცემულმა შმიდტმა, რომელსაც შიშმა დაავიწკა აუცილებელი სიფრთხილე,—მე ვაპირებ გაქცევას.

პოლიციელს რაღაც მოულოდნელმა შთაგონებამ გაუელვა თვალელებში, მან ხელი დაუჭირა შმიდტს და ყურში მუდარით ჩასჩურჩულა:

—გამიგონე ჰერ შმიდტ!—იწამეთ ღმერთი და მეც წამიყვანეთ!... ერთად ერთი გაქცევა ლა დაგვრჩა, ხომ წამიყვანთ?—ღვთის გულისათვის...



ფაშისტთა მხედრის ბუნავში შეერთდა სამი ლაშქარი,  
მოსახლის სისხლში წართობილა მათი პირბასრი ლახვარი.

ნგრევს, რბევს და მკვლელობის ბუდე დაღეწეს ტიალი  
და ხინარულით გულს გვივსებს მათი დროშების ფრიალი.



# ქრევი ცირკის გართობა

ქრევის ცირკის  
გართობა

ცოტა რამ გამეგონა კრივის შესახებ. მი-  
ნახავს კინო-სურათები „პატი ღია ზღვაში“,  
„მოკრივეები“, წამიკითხავს განთქმული ზან-  
გი მოკრივე ჯ. ლუისის შეხვედრებზე სხვადას-  
ხვა ქვეყნების უძლიერეს მოკრივეებთან.

მაგრამ სინამდვილეში არასოდეს არ მქო-  
ნია შემთხვევად მენახა სპორტის ეს სახე. 9 აბ-  
რილს ფიზკულტურელმა მეგობარმა მთხოვა  
ცირკში წავყოლოდი, სადაც ტარდებოდა ბა-  
ქო-თბილისის საკავშირო გუნდური შეჯიბრება  
კრივში. ექვსი საათი არც კი იყო (8 საათზე  
იწყებოდა), როდესაც გზას გავუღდე. რო-  
გორც მელია—ჩიტის ბუდე, ან საქათმეს—ისე  
გუტრიანდებით ცირკს გზრდებო, მაგრამ ბი-  
ლეთი არსად ჩანდა. ხალხი ბუზივით ირეოდა.



— მოგვეცი ბილეთი...

— შინაურებმა გაინაწილეთ და გარეულს  
რაღა შეხვდებოდა...

— მიბრძანდით მოქალაქე, — ისმოდა ხმები.  
უკვე ბინდებოდა, მაგრამ ვერაფერი მო-  
ვახერხეთ.

— კერძოდ მაინც ვიყიდოთ ბილეთი, თო-  
რემ შემდეგ უფრო გააძვირებენ, — ვუბნებთ  
ამხანაგს.

— მათ იციან როდის აქვს ბილეთს ფასი,  
ხომ ხედავ, არაფერს ყიდის. — მეუბნება მეგო-  
ბარი.

კიბეზე შევდექი, რათა აყალ-მყალისაგან  
თავი დამეზღვია. ის იყო პაპიროსის მოწვევა  
დავაპირე, რომ ვილაცამ ცხვირში მუშტი მი-  
თავაზა.

დარეტიანებული ძირს დავვარდი.

— კრივში ამას ნოკდაუნდი ჰქვია, იმ  
შემთხვევაში, თუ თერთმეტი დათვლის შემდეგ  
აღგომა ველარ შესძელი, მაშინ-ნოკაუტი. — მი-  
ხსნის მეგობარი.

— რაღაცა ჯანდაბა ჰქვია მე კი წამახდი-  
ნა კაცი და! — ვუბნებთ ამხანაგს და ცხვირზე  
ხელს ვიკიდებ.

— ევ არაფერია, ხშირად მგარი დარ-  
ტყმის შედეგად ტყდება ცხვირის ხრტილი, ამ  
შემთხვევაში მოკრივეები თაურზე გადადიან,  
მიუხედავად იმისა, რომ მსაჯი ყვირის „ბრეკ“,  
„ბრეკ“ — რაც გაშველებას ნიშნავს, მოკრივეებს

პატივისცემის ნიშნად დარტყმა გადააქვთ მსა-  
ჯის თავზე და...

— კაცო, რა დროს ლექციაა, ცხვირ იდან  
სისხლი მომდის. თუ რამე შევიძლია, მომეხ-  
მარე. — შევაწყვეტინე მეგობარს. სამი რაუნდის  
განმავლობაში (რაუნდი სამი წუთი ყოფილა!)  
ოთხჯერ გამიკეთეს ნოკდაუნდი და ხუთჯერ  
ნოკაუტი. ბევრი ვიყვირე — „ბრეკ-ბრეკ“ — მე-  
თქი, მაგრამ საქმე არა გაქვთ? ხან სად მაკო-  
ტრიანდეს და ხან სად.

ბილეთებიანი ხალხი შესვლას ვერ ახერ-  
ხებს, რადგან უბილეთოების მოწინავე-ნაწილებს  
ზედიზედ მიაქვთ იერიში კონტროლიორებზე  
და შედეგსაც აღწევენ... ჩემი მეგობარი ჩემზე  
ძლიერი აღმოჩნდა და, უკაცრავად პასუხია,  
უბილეთოდ შევიდა დარბაზში. ფიზკულტურის  
კომიტეტის წარმომადგენელი აღექსანდრე  
ფალავანდიშვილი, რომელიც არენაზე შესას-  
ვლელ კარებთან იდგა, ენერგიულად იგერიე-  
ბდა შეტევაზე გადასულ ხალხს და თან ხმაჩხ-  
ლეჩილი ყვიროდა:

— სადა ხართ კაცო, მოკრივეებო, რატომ  
არ შემოდისხართ!

— აქა ვართ, საშოკო, მაგრამ რომ ვერ  
მოვდივართ?

— რომელი ხარ შენ?

— ლევანი ვარ ლუღუშაური.

— მეც აქა ვარ მელაძე, მაგრამ როგორ  
შემოვიდეთ?!

მოკრივეებმა დიდი გაკვირვებით მიადწიეს  
შესასვლელ კარებს.

უკვე ცხრისნახევარი იქნებოდა, რომ ბი-  
ლეთებიანი ხალხი უიმედოთ ხელჩაქნეული სა-  
ხლისაკენ მიდიოდა და გზაში სამართლიან  
„კურთხევას“ უზახენიდა ფიზკულტურის კომი-  
ტეტის მუშაკებს, რომლებსაც დაავიწყდათ რომ  
ცოტა ადრე ეზრუნათ წესრიგზე. ცირკის ხუ-  
მარამ ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ათმანე-  
თიანი ბილეთი ორომცდათმანეთად მომყიდა,  
ისიც ხათრით. მას დასტა-დასტად ეწყო ბი-  
ლეთები ყველა ჯიბეში.

— აი რატომ გათავებულა ბილეთები  
დღის 12 საათზე: ასი პეტრეს, ორასი სონიას,  
სამასი გოგიას, ხუთასი მოლარეს და მეტი  
რაღა იქნება, — ბუზუნებდა ჩემს გვერდით  
მდგომი-ვილაც კაცი, რომელსაც ათი მანეთი  
აკლდა, რომ ბილეთში რვა თუმანი მიეცა. (სამ  
წუთში ბილეთის ფასმა სამი თუმნით აიწია).

ბილეთი კი ვიყიდე, მაგრამ შესვლა არ  
გინდა? აქეთ მივაწყდი, იქით მივაწყდი, მაგ-  
რამ თქვენც არ მომიკვდეთ, შესასვლელ კარებს  
ახლოს ვერ მივეკარე.

ცირკის დირექტორი ლადო კავსაძე, რო-  
მელიც ძალზე გაბრაზებული იყო ფიზკულტუ-  
რის კომიტეტის მუშაკებზე, წესრიგის დასა-  
ცავად აქეთ-იქით დარბოდა დერეფანში,  
ხელებს ასავსავებდა და თან გულმოსული  
მღეროდა:



ფიზკულტურის გადამკიდე მუდამ ვყვირი მე,  
ამ ხიფათს ვინც ამაშორებს, მისი ჰირიმე,  
კრივია თუ ჰიდაობა-მუდამ ვსტირი მე,  
მოწვალეხს ვინც მოიღებს, მისი ჰირიმე.  
შენ, შენ, ცირკის თხოვა არ გამიბედოთ,  
დაჩაგრულს მომეცი ხელი, ჩემო-იმედო...

და პატივცემული ლადო ხან აქეთ აწყდე-  
ბოდა და ხან იქით. ვინაიდან შიგ ვერ შევე-  
დი და ველარც ბილეთი გავყიდე, (არავინ  
იყიდა, სულ ერთია-შიგ ვერ შევიდოდნენ) ამი-  
ტომ სახლში წამოსვლა გადავწყვიტე.

განზრახვა სისრულეში მოვიყვანე.  
ლამის თერთმეტი საათზე მეგობარი დაბ-  
რუნდა ცირკიდან.

— როგორ მოგეწონა კრივი? — მკითხა შან.

— შიგნით, თუ გარეთ?

— როგორ თუ გარეთ. შიგნით.

— შიგნით მე ვერ შემოვიდი და...

— რას ამბობ, ძალზე საინტერესო იყო,  
15:9 დამთავრდა თბილისის მოკრივეთა გუნ-  
დის სასარგებლოდ.

— მე კი ვიცი, რომ 50:9 დამთავრდა ჩე-  
მი ჯიბის საზარალოდ, — ხოლო 100 — ჩემი ცხვი-  
რის საზიანოდ, — ვუთხარი მეგობარს და გამო-  
ვბრუნდი.

— ასეა ძმაო, შენ რომ კრივის მოყვარუ-  
ლი იყო, ეს ამბავი არ დაგემატებოდა. მა-  
გალითი ჩემგან აიღე, იარე ხშირად, შეის-  
წავლე კრივი და ცირკშიაც ადვილად მოხ-  
ვდები, — მითხრა მან და ოთახის კარი მომი-  
ხურა...

ქ. გელათელი

ტკბილმოუბარნი

გაზეთ „ჭიათურის მალაროელის“ რედაქცია უთუოდ სწორად მოიქცა, როცა 12 იანვრის ნომერში მიუთითა კედლის გაზეთის „სტანანოველის“ რედაქციას ენის სიწმინდის დაცვის შესახებ. — „კედლის გაზეთში მასალები უნდა იწერებოდეს კარგი ქართული ენით და სტილისტურად გამართულია“, — ასწავლიდა „ჭიათურის მალაროელი“ კედლის გაზეთებს.

სრული სიმართლეა, სწორედ კარგი რამ არის კარგი ქართული, მაგრამ ზოგჯერ თვით „ჭიათურის მალაროელიც“ არ იცავს ამ სავალდებულო მოთხოვნებს.

ჭიათურაში გაუსამართლებიათ ვინმე კირიაკიდი, „ჭიათურის მალაროელში“ გვითხულობთ: „კირიაკიდი მომხმარებელ იხოლდა ხვედელიძე დააკლო 80 გრამი პეჩენია... კირიაკიდი სახლში აღმოუჩინეს მოპარული 8 კილო პეჩენია“...

თვითონ იხოლდა ხვედელიძეს უმჯობესია ეცოდინება, რომ „პეჩენია“ ქართული სიტყვა არ არის და რომ მას ქართულად ეწოდება ნამცხვარი (ხალხობო საქმელია ჩაისთან, შეგიძლიათ მიირთვათ რძითაც. გაამოთ!) სახელწოდებას რუსულს თუ ქართულს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ქურდობა ქურდობაა რჩება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ „სტანანოველის“ წაყენებული მოთხოვნის უნდა გვინდოდეს გაგვეხსენებინა რედაქციისათვის.

„აჩაიანური“ კორესპონდენცია

აბა გადავხედოთ იმავე გაზეთის № 4-ში მოთავსებულ მასალებს. (გნანოთ როგორ იცავს რედაქცია „გამართულ“ სტილს)...

სათაური: „ჩემი სვოი გიწოდეთ, ხელი გამომიწოდეთ“...

შინაარსი: ...განინილა საქმე ვინმე ნიჟარაძისა, რომელმაც მოიპარა 13 ზეწარი და ერთი ადიელა... გაჰყიდა მოპარული ნივთები და აჩაიანურად იმღერა „ჩემი სვოი გიწოდეთ“ და სხ...  
ოი, ოი, ამხანაგო რედაქტორო! ეს როგორ გეკადრებათ... ეს რა „აჩაიანი“ სტილისტი გყოლიათ!...

საწყენად არ მიიღოთ

ფოთის საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ № 68-ში მოთავსებული რეცენზია ადგილობრივ თეატრში დადგმული ცნობილი პიესის „ლალატი“ შესახებ.

კარგი პიესაა და კარგადაც დაუდგამთ, მხოლოდ რეცენზენტი ფოთელ მკითხველებს აგდებს ამოცანაში.

იგი სწერს: „...ოთარბეგის როლს ასრულებს მსახიობი ა. მაგრაქველიძე. მსახიობს მოძებნილი აქვს გმირის ხასიათის გამოვლენებისათვის შესატყვისი ფაქტური ახვენება“.

ბირველად გვესმის, რომ მსახიობს შეეძლოს „ფაქტური ახვენების გამოძებნა“.

ახვენება, ამხანაგო რეცენზენტო, (და ამხანაგო რედაქტორო) ფიზიკური მხარეა ადამიანისა და მასხასადამე იგი უნდა მოძებნოს რეჟისორმა მსახიობთა შორის (თუ კი ეს საჭიროა).

მსახიობს კი გმირის ხასიათის გამოვლენებისათვის ისედაც ბევრი რამ აქვს მოსაძებნი და მთლი „ააოვნების გამოძებნით“ ნულარ დაეტვირთავთ.

ეხება რა ზეინაბის როლს, რეცენზენტი სწერს: „ზეინაბი რთული ფსიქოლოგიური განცდების შემცველი სახეა, რომელიც მსახიობისაგან სხვადასხვა სულიერი მდგომარეობით გამოწვეული მიზნების და მისწრაფებების მართლად გამოხატვას მოითხოვს“.

გვაქვს ორი პატარა შენიშვნა:

ჯერ ერთი „მიზნების და მისწრაფებების“ მართლად გამოხატვას სცენა მოითხოვს არა მარტო ზეინაბის როლის შემსრულებლისაგან, არამედ ყველა მსახიობისაგან.

და მეორეც: რეცენზენტის „სულიერი მდგომარეობით გამოწვეული მიზნების და მისწრაფებების“ მართლად გამოხატვა გაზეთის ფურცლებზე მოითხოვს უფრო გასაგები ენით წერას. (საწყენად არ მიიღოთ).

„ხუმრობის გარეშე“

ამ სათაურის ქვეშ წულუკიძის რაიონულ გაზეთ „დამკვრელ კოლმეურნის“ № 12-ში მოთავსებულია პატარა კორესპონდენცია, რომელსაც წარწერილი აქვს ნაკვესი ლექსად:

„ქუს თუ დღეს მიეყვარ,  
არ ვჯავრობ სეკუნდით,  
რა გუყოთ ხვალ წავალ  
მხარდამხარ“.

არა, ხუმრობის გარეშე სწერთ ამას, თუ ხუმრობთ! „არ ვჯავრობ სეკუნდით“, — არ გვესმის, ცული ნაკვესია. თქვენ შეიძლება არ ჯავრობთ, მაგრამ მკითხველები ჯავრობენ.

ჩემი ნაშკა

(სამტრედია)

ნეტავ მანატრა, მანატრა,  
ეს ნატვრა ამიხდებოდეს:  
მოწინავეთა რიგებში  
ჩვენი ქალაქი დგებოდეს.  
გზედავდე ახალ ბაზარში,  
რომ დარი მართლაც გებოდეს!  
გავლა-გამოვლა უფოროდ  
და უმისრავა ხდებოდეს.

ნეტავ მანატრა, მანატრა,  
ეს ნატვრა ამიხდებოდეს,  
ამ ჩვენ ძაფსაღებ ფაბრიკას  
სულ გამარჯვება ხდებოდეს,  
ხარობდეს ჩვენი რადიო,  
ბულბულივითა გალობდეს!  
ახლა თუ ხშირად არ გვწყალობს,  
შემდეგში მაინც გვწყალობდეს.

ბაგნელი ბიკი



— შეილო, დედა-შეილობას, საქურდალოს ბაზარი ეს არი?

მოკრეპტურული შეხედვა

წყველია კორექტურული შეცდომა, მას შეუძლია ურემი-ირმად აქციოს, მუხლი-ქუსლად, თავი-თავთავად, გრაკალი-ძეგვად. ეს უკანასკნელია საოცარი. ურემში და ირემში აღრევის შეიტანს ერთი ასო, მაგრამ გრაკალი-ძეგვში როგორ უნდა აირიოს? მაგრამ, წარმოიდგინეთ, აკ, რკინიგზების ბილეთების წინასწარი გაყიდვისას ზოგიერთი მოლარე ურევის ერთმანეთში ძეგვსა და გრაკალს, ხშირადაც კორექტურული შეცდომა წიგნის დაბეჭდვამდე გასწორდება, მთლა-რის მიერ დაშვებული კორექტურული შეცდომა რევიზორსა და მგზავრს შორის გასწორდება, თუმცა ამ გასწორებას წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლა უძღვის.

13 აპრილს (დასწყველს ღმერთმა ეს ნავსი 13), მატარებელი № 108 ახლად ამწვანებულ მიდამოში მიჰქროდა თბილისიდან-ბორჯომისკენ. უტბად ღვთის-რისხვა რევიზორი განადა ვაგონში, მატარებელმაც ამ დროს კასპს მიაკივლა. ჩემს მეზობელ მგზავრს ბილეთი შეუმოწმეს, აღმოჩნდა, რომ მგზავრი მიდის გრაკალში, ბილეთი კი ძეგვამდე აქვს.

- გადინადე შტრაფი ამ მინუტში...
- რათა ქა, რათ უნდა მოგცე შტრაფი?
- გუშნები გადაიხადე, თვარა ამ სტანციაზე გადაგცემ მილიციას!
- ბილეთი ხელში მიჭირაბ, შენ შტრაფ მანდენებ, გავონილა? ქვეყანა ჩალით ხომ...

— მე ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს, შტრაფი, ან კასპში გადაგცემ მილიციას!

— გამაგებინე ადამიანო, რითგინ მანდენებ ქა ე ბილეთი მაქ, უპრობუსკოთ არ მიგდებარ...

— ქალო, სად მიდხარ შენ? შენ უნდა ძეგვში ჩამოსულიყავი...

— რა მინდა ძეგვში კაცო, მე სახლში მივდივარ, გრაკალში უნდა ჩამოვხტე...

მგზავრმა გადაიხადა „შტრაფი“. მას „დეზერტილების კასაში“ აქლო ბილეთი № 2443—თბილისი—ძეგვი.

— ქაა, გავონილა. ოცი მანათი ცალკე მივეცი-თერთმეტის მაგიერათა კასერშასა, მე გრაკალი ვთხოვე და იმან ძეგვი მაცა, ბილეთის ფული მეტი გადამანდენა და აქაც ხლაფთოში ჩამაგდო ი ჯანდამწვარმა?

მოლარის შეცდომა ვაგონში გასწორდა. გაუსწორებელი შეცდომებიც ბევრია. გაივლით თბილისის ქუჩებში და აკრელებული „გიგესკა“ მიიპყრობს ყურადღებას. აგერ ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა, აგერ „ზაკახებისა და პაჩინის“ მიღება, აქ ბროსის ქუჩა, იქ დანიელ ჭონქაძისთვის კორექტორს სახელი შეუცვლია და დავითი უწოდებია...

წყალსაზიდის ქუჩაც შეგხვდებათ (წყალსაზიდი! ხედავთ „ბოქვისადმი“ პატივისცემა სადამდე მისულა! თბილისში ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუჩა არ არის და წყლის სახიდ ჭურჭელს კი ამდენი პატივისცემა!), ლუნაჩარისაც, გოგოლევისა და სხვ. ერთი სიტყვით, კორექტორს ბევრი უმუშავია (კალმით თუ ტენით?).

აკაკი წერეთელმა ასეთ კორექტორზე იხურო ერთხელ: „ბატონო გაზეთის გამო მცემელი! მართლა რომ რქინი ვაყი ბრძანებულხართ და თქვენი გრძნობა—გონებაც ვაცური ყოფილ: როგორც ბრმა მეცნიერს, გეტყობათ რომ სულწაუღლებ, კუბატზე და მომავალ ვალზე ჰფიქრობთ და მიტომაც თქვენი მატლიანი შრომა სანატრელია. ჭენმარტად ღირსი ხართ ამხანაგებმა მიგბაწრონ და ცოლებმაც გილაღატონ ყოველ დამ რქებისა შესხმით! ავაყი.“

თურმე უნდა ყოფილიყო: „ბატონო გაზეთის გამომცემელი! მართლა რომ რიგინი კაცი ბრძანებულხართ და თქვენი გრძნობა—გონებაც ვაცური ყოფილა. როგორც ღრმა მეცნიერს, გეტყობათ, რომ სულ წარსულზე, მეზობლებზე და მომავალზე ჰფიქრობთ და მიტომაც თქვენი მადლანი შრომა სანატრელია. ჭემმარტად ღირსი ხართ ამხანაგებმა მიგბაწრონ და ტოლებმაც გილაღადონ ყოველთგან ქებისა შესხმით, აკაკი“.

აი, რას ნიშნავს კორექტურული შეცდომა!

სოლიკო

93-66



# ნიანგი



ნახ. დ. ქუთათელაძისა

სარედაქციო კოლეგია: ი. ზრისუაშვილი, კ. კალაძე, შჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, ზრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49  
ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1945 წ. 23/V ლ. ბ. ზერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 29. შგკ. № 567, უფ. № 01747.

3-7.000